ხელშეკრულება № 11-145/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **30.11 2016 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან ნატრიაშვილის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „აჭარა+“, წარმოდგენილი მისი **დირექტორის ვალერი ჩეხერიას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №1;
ტელ: 577 32 32 56
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ანგ. № GE45BG0000000886056200
საიდენტიფიკაციო კოდი: 205090890

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ პროექტის დასკვნითი ღონისძიების ფარგლებში ინკლუზიური განათლების III საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის (CPV55100000) მომსახურების შესყიდვა, რომლის აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში. (კონფერენცია წარიმართება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მასპინძლობით. მასში მონაწილეობას მიიღებს ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოსა და აზერბაიჯანში, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს დელეგაცია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს სახალხო დამცველი და ა. შ. სულ 250 პირი.)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 31801,0 (ოცდათერთმეტი ათას რვაას ერთი) ლარს.
3.2 გასაწევი მომსახურება და ერთეულის ფასები მოცემულია ცხრილში:

N	მომსახურების დასახელება	ფასი (ლარი)
1	**საკონფერენციო დარბაზი და აღჭურვილობა 250 მონაწილეზე** (თეატრალური წყობა, 2 ტრიბუნა, 2 პროექტორი, 2 ეკრანი, წყალი, საწერი კალამი, ბლოკნოტი, ფლიფჩარტი, 2 ცალი ლეპტოპი)	700,0
2	**თარჯიმანი**	6000,0
3	**აუდიო ვიზუალური აღჭურვილობა:** 4 უსადენო და 2 სადენიანი მიკროფონი, აუდიო სისტემა, 250 ყურსასმენი, 2 ჯიხური	3000,0
4	2 „ყავის შესვენება“ და 1 ლანჩი 250 პირზე	17250,0
	ჯამი დღგ-ს გარეშე	26950,0
	დღგ	4851,0
	სულ დღგ-ს გათვალისწინებით:	31,801,0

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება (N 01/03; 25.01.2013) პროექტი „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი მომსახურების უნაკლო შესყიდვის ობიექტის გაწევის დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს პროექტის ფინანსური მენეჯერი გიორგი სურმანიძე.

6. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის თარიღია 2016 წლის 7 დეკემბერი.
6.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №1, სასტუმრო „Holiday Inn Tbilisi“.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით: მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, რასაც ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.1 8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" პროექტის მენეჯერი მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

9.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
ქეთევან ნატრიაშვილი	ვალერი ჩეხერია
---	---

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და **შპს „აჭარა +"**, შორის საკონფერენციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარებისა და კონტროლის აქტზე ხელმომწერი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

"ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" ფინანსური მენეჯერი /გიორგი სურმანიძე/ ----------

კონტროლის აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

"ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" პროექტის მენეჯერი /მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი/ ----------

30.11. 2016 წელი